ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №196

ქ. ბათუმი, 18 მარტი 2015 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთი სარკმლის პრინციპის ფუნქციონირებისათვის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 18 სექტემბრის №567 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთი სარკმლის პრინციპის ფუნქციონირებისათვის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 18 სექტემბრის №567 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის 1.3. „ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „1.3[1]“ ქვეპუნქტი:

„1.3[1]. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შიდა დოკუმენტაციის სარეგისტრაციო კოდი შედგება ინდექსისაგან, ინდექსი აღინიშნება ანბანურად, ასო „დ“-თი (დაქვემდებარებული), სარეგისტრაციო ნომრისაგან და თარიღისაგან:

1.3[1].1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შიდა დოკუმენტაციისათვის უცვლელ ინდექსებად დადგინდეს შემდეგი:

ა) შპს „ბათუმის წყალი“ – „დ01“ ;
ბ) შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ – „დ02“;
გ) შპს „სანდასუფთავება“ – „დ03“;
დ) შპს „წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ – „დ04“;
ე) შპს „სარაგბო კლუბი „ბათუმი“ – „დ05“;
ვ) შპს „ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ – „დ06“;
ზ) შპს „საკალათბურთო კლუბი „ბათუმი-2010“ – „დ07“;
თ) შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ – „დ08“;
ი) შპს „დინამო ბათუმი“ – „დ09“;
კ) შპს „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“ – „დ10“;
ლ) შპს „ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“ – „დ11“;
მ) შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ – „დ12“;
ნ) ა(ა)იპ - „ბათუმის კორპუსი“ – „დ13“;
ო) ა(ა)იპ - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“ – „დ14“;

პ) ა(ა)იპ - „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ – „დ15“;

ჟ) ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ – „დ16“;

რ) ა(ა)იპ - „ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი“ – „დ17“;

ს) ა(ა)იპ - „ბათუმის განვითარების ფონდი“ – „დ18“;

ტ) ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ – „დ19“;

უ) ა(ა)იპ - „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრი“ – „დ20“;

ფ) ა(ა)იპ - „ბათუმის სასაფლაოები“ – „დ21“;

ქ) ა(ა)იპ - „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ – „დ22“;

ღ) ა(ა)იპ - „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“ – „დ23“;

ყ) ა(ა)იპ - „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ – „დ24“;

შ) ა(ა)იპ - „საჭადრაკო კლუბი „ნონა“ – „დ25“;

ჩ) ა(ა)იპ - „ბათუმის ავტოდრომი“ – „დ26“.

1.3¹.2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შიდა დოკუმენტაციას სარეგისტრაციო ნომერი ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ენიჭება უწყვეტად 01-დან n-მდე, დოკუმენტაციისათვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი არის განუმეორებელი;

1.3¹.3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შიდა დოკუმენტაციისათვის სარეგისტრაციო კოდის მინიჭებისას, უწყვეტად ჯერ იწერება უცვლელი ინდექსი, შემდეგ იწერება ტირე (-) და ბოლოს იწერება სარეგისტრაციო ნომერი, დოკუმენტაციის თარიღი იწერება დოკუმენტის ინდექსისა და სარეგისტრაციო ნომრისაგან გამოცალკევებით. თარიღის მინიჭებისას ჯერ აღინიშნება რიცხვი, შემდეგ თვე, ხოლო შემდეგ წელი. სარეგისტრაციო კოდის მინიჭებისას გამოიყენება არაბული რიცხვები, ხოლო თვის აღნიშვნისას იგი შეიძლება დაიწეროს ანბანურად.

1.3¹.4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ყველა ინდექსის შიდა დოკუმენტაციის თარიღი არის დრო (რიცხვი, თვე და წელი), როცა მომზადდა დოკუმენტაცია.“

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტის 2.9.1. ქვეპუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

2. წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე, ასევე საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების გამოქვეყნების ადგილზე (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე).

3. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსს (ნ. დეკანაძე) და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელებს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი